საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი 08.04.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - კონსულტანტი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მაია მარგველაშვილი;
მაია გონაშვილი;
მანანა მოისწრაფიშვილი;
კონსტანტინე სირბილაძე;
ვასილ კიკუტაძე;
ეკატერინე გიგაშვილი
ნატო გენგიური.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:
ერმილე მესხია - რექტორი;
ქეთევან ვაჩეიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია ჭიჭილეიშვილი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი:
რუსუდან ლორთქიფანიძე - რექტორი;
ტატიანა ჯავახიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ია გიგაური - ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:
თეონა ხუფენია - რექტორი;

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
სოლომონ პავლიაშვილი - რექტორი;
დავით გუბელაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი:
აკაკი ხელაძე - რექტორი;
ლელა ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანა მდინარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს - ქართულ-ევროპული აკადემია:
არჩილ ჭელიძე - რექტორი;
ხათუნა გაბიცინაშვილი - უმაღლესი სკოლის დირექტორი.

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დავით კახნიაშვილი.

საბჭოს წევრმა,ზაზა მარუაშვილმა, აღნიშნა, რომ პირველ აპრილს გაიმართა აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილულ იქნა 12 საკითხი, მათ შორის, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების

დ. კახნიაშვილი

აკრედიტაციის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებების გამოცხადების შემდეგ სხდომათა დარბაზში, შემდგომ კი შენობასა და ეზოში საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრააციის წევრთა მიერ გაკეთდა მიუღებელი, გარკვეულწილად შეურაცმყოფელი განცხადებები ზოგადად საბჭოს მისამართით, მათ შორის, პირადად, ზაზა მარუაშვილის მიმართ.

საბჭოს წევრის თქმით, აღნიშნულის საფუძველი გახდა, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან რამდენიმესათვის აკრედიტაციის მონიტორინგის პირობით მინიჭება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აღნიშნულ გადაწყვეტილებას შეხვდა გარკვეული აგრესიით. სხდომის დასრულებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ცენტრის ეზოში შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია საბჭოს წევრ მამია ჯანჯალიასა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შორის. ბატონი მამიას შინაგანი კულტურის წყალობით კი, თავიდან იქნა აცილებული უფრო სერიოზული კონფლიქტი. მისი განცხადებით, აღნიშნული ცნობილი უნდა გამხდარიყო შენობის დაცვის სამსახურისთვისაც, თუმცა, რაიმე რეაგირება მათი მხრიდან არ მომხდარა.

ზაზა მარუაშვილმა მოითხოვა მომავალში დაცული ყოფილიყო საბჭოს წევრების უსაფრთხოება, აღკვეთილიყო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხრიდან მსგავსი ფაქტები და უზრუნველეყო ცენტრს მათთვის ნორმალური სამუშაო პირობები.

აღნიშნულ პოზიცია გაიზიარეს და მხარი დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: ნანა გაფრინდაშვილმა, მამია ჯანჯალიამ, ირაკლი მაჩაბელმა, მაია ჩიხლაძემ და დავით კახნიაშვილმა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, ან დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა.

დ. კახნიაშვილი

აცილება არ ყოფილა. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, მათი საკითხის განხილვა გადაედოთ მომდევნო სხდომისათვის. შუამდგომლობა ერთხმად დაკმაყოფილდა და დამტკიცდა დღის წესრიგი განახლებული სახით:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა და ლელა ლატარიამ, რომელთაც საბჭოს გააცნეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- წინამდებარე ქართული ენის მომზადების პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, შინაარსით, მისაღწევი სწავლის შედეგებითა და სასწავლო კურსების თემატიკით რეალურადაა შესაძლებელი ევროპული ჩარჩოს შესაბამისი დონის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევა, სასურველია პროგრამაში მისაღწევი დონის კონკრეტულად დაფიქსირება (A/B/C) საერთო სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს მიხედვით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში და ასევე პერსონალის დატვირთვაში იგულისხმება, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის საათების არსებობა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სასურველია ქართული ენის სპეცკურსის შეთავაზება სპეციალობის ტერმინოლოგიის გათვალისწინებით და ასევე, მოსმენის კომპონენტის გაძლიერება, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს სწავლების შემდგომ საფეხურზე წარმატებების მიღწევაში.
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში დაფიქსირებულია „საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი." თუმცა, იმავე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პროგრამის შემუშავებაში აკადემიური პერსონალის ჩართულობას. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა მესამე პუნქტის დანიშნულებაა დაკონკრეტდეს ხელმძღვანელის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, და პუნქტი არ გულისხმობს, რომ პროგრამას მხოლოდ ხელმძღვანელი შეიმუშავებს. სასურველია აღნიშნული პუნქტი სწორედ ამ რედაქციით ჩამოყალიბდეს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ, აკადემიურ საბჭოზე შესწორდა ჩანაწერი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით. საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან, პროგრამა ჯერ არ იყო ამოქმედებული, არ იყო განსაზღვრული საკონსულტაციო საათები, რაც დაზუსტდებოდა პროგრამის ამოქმედებისას. ასევე გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით.

ლელა ლატარიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები სწავლას აგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ 1 წლის შემდეგ სტუდენტს შეეძლო გაეგრძელებინა სხვა დაწესებულებაში.

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადება
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ლელა ლატარიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში და სილაბუსებში ცხადად იყოს გაწერილი სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის საათები;
- სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოქმედი ბაკალავრებისათვის ცხადად არის წარმოდგენილი, სასურველია უფრო დაკონკრეტდეს მიღების წინაპირობები ბაკალავრის „ან მასზე მეტი აკადემიური ხარისხის მქონე" პირთათვისაც და მათთვის პროგრამით დადგენილი გამოცდის ჩაბარება განისაზღვროს (გამოცდის საკითხები და შეფასების სისტემა ახლავს პროგრამას დანართის სახით)
- შრომითი ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია 2014 წლის 1 აგვისტომდე, როგორც კანცლერთან საუბარში გაირკვა პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში დაწესებულების მიერ განახლდება ხელშეკრულებები. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან წინასწარ გაფორმდეს „პირობითი" შრომითი ხელშეკრულება მინიმუმ სასწავლო პროგრამის ვადით მაინც.
- მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელზე გაიცემა სერტიფიკატი და გავლილი სასწავლო კურსები აისახება დიპლომის დანართში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ზოგადად სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც გასცემს სასერტიფიკატო მოკლევადიანი სხვადასხვა სასწავლო პროგრამების დასრულების შემდეგ. სასურველია კონკრეტულად მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვის შემუშავებული სერთიფიკატის ფორმის, მისი გაცემის წესის დამტკიცება მომხდარიყო პროგრამასთან ერთად და ყოფილიყო მისი განუყოფელი ნაწილი.
- შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში:

დეკორატიული ხელოვნება, სახვითი ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდიკა, შრომითი სწავლების პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდიკით სწავლების მიზნებში დაფიქსირებულია ზოგადსაგანმანათლებლო განათლების დაწყებითი საფეხური. მაგ "საგნის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდები და ხერხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნების და მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით." სასურველია გადაიხედოს და გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი;

- პედაგოგიური პრაქტიკა ითვალისწინებს საცდელი გაკვეთილების ჩატარებას დაწყებით და საბაზო საფეხურზე. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გაკვეთილები ჩატარდეს საბაზო და საშუალო საფეხურზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად

განსაზღვრული იყო ბაკალავრის ხარისხი, ითხოვდნენ შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას. გამოცდის ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და თემები გაწერილი იყო პროგრამაში. მისი თქმით, ყველა პროგრამაზე საერთო წესით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც დამტკიცებული იყო რექტორის ბრძანებით. წარმოდგენილ შემთხვევაშიც ისარგებლებდნენ საერთო წესით. შემუშავებული და აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული ჰქონდათ სერთიფიკატის ფორმა, რომელშიც მხოლოდ სათაურები შეიძლებოდა შეცვლილიყო, თუმცა, თუ იქნებოდა აუცილებელი ცალკე დამტკიცება წარმოდგენილი პროგრამისთვის, ასეც მოიქცეოდნენ. პრაქტიკასთან დაკავშირებით მათი მიდგომა წარმომადგენელმა ახსნა იმ ფაქტით, რომ სკოლაში ხელოვნება მხოლოდ ორ საფეხურზე ისწავლებოდა სავალდებულო სახით.

ნანა გაფრინდაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა ჩანაწერზე „...ან მასზე მეტი აკადემიური ხარისხის მქონე პირი". მისი თქმით, ჩანაწერი საჭიროებდა რედაქტირებას. „მეტი" რაოდენობის აღმნიშვნელი იყო, ხოლო „მაღალი" - ხარისხის.

ზაზა მარუაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს, აუცილებლად დაემტკიცებიათ სერთიფიკატის გაცემის ფორმა, მით უფრო, რომ პროგრამა ეხებოდა რეგულირებად პროფესიას.

მაია ჩიხლაძემ ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსის მიზანზე, აქ საუბარი იყო პრაქტიკაზე, რომელსაც მხოლოდ 60 საკონტაქტო საათი ეთმობოდა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად უზრუნველყოფდნენ ასეთი მოცულობით შედეგებზე გასვლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკას 10 კრედიტი ეთმობოდა და შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფდნენ, ასეთი მიდგომა შესაბამისობაში მოდიოდა, ასევე პროგრამის ანალოგებთან. ამასთანავე, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო სტუდენტებს ჰქონოდათ ცოდნის შეძენის შესაძლებლობა სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, ამდენად, არჩევითი კურსის სტატუსით იქნა გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო კურსი პროგრამაში.

3. სსიპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0805
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნატო გენგიურმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მისიაში (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2010 წლის 30 ივნისს) მითითებულია სასწავლებლის ძველი სტატუსი - „ახალდაფუძნებული, ლიცენზირებული ს(ს)იპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი 5 წლის ვადით 2008 წლიდან უთანაბრდება აკრედიტებულ უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებებს." რეკომენდირებულია მისიაში ასახვა ჰპოვოს უსდ-ს ამჟამინდელმა სტატუსმა, უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულება (კოლეჯი), რომელიც მიენიჭა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით #1 2014 წლის 3 იანვარს.
- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დასახელებაა: „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა–საშემსრულებლო ხელოვნება-მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა). რეკომენდირებულია დასახელების გამარტივება, რადგან არ არსებობს აუცილებლობა პროგრამის დასახელებაში აისახოს სწავლების საფეხური და სიტყვა - მიმართულებები. შესაძლებელია დასახელების ამგვარი ფორმულირება - „ საშემსრულებლო ხელოვნება (ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა); ან „სამუსიკო შემსრულებლობა", ან „სამუსიკო ხელოვნება", იგივე კონცენტრაციების მითითებით; ასევე რეკომენდირებულია, ფაკულტეტის დასახელებიდან ამოღებულ იქნას „ჰუმანიტარული მეცნიერებები", რამდენადაც ფაკულტეტზე მხოლოდ საშემსრულებლო პროფილის პროგრამა ხორციელდება, ხოლო ჰუმანიტარული პროფილის პროგრამების განხორციელება არც იგეგმება;
-კოლეჯში შემუშავებულია სტუდენტის შეფასების დოკუმენტის ფორმა, რომელიც მის მიღწევების ასახვას არა მხოლოდ ქულებში გვაძლევას, არამედ ვერბალური აღწერილობით, სტუდენტის სუსტი და ძლიერი მხარეების დახასიათებითაც. ეს დოკუმენტი, რომელიც მეტად კარგი ფორმაა, „სილაბუსის" სახელწოდებას ატარებს და ვფიქრობთ, საჭიროებს დასახელების კორექტირებას: მისი დანიშნულებისთვის ტერმინი „სილაბუსი" შეუფერებელია, რეკომენდირებულია მას ეწოდოს „უწყისი", როგორც შეფასების ფორმების შემთხვევაშია მიღებული;

-„მსოფლიო მუსიკის ისტორიის“ სასწავლო კურსში საკონტაქტო საათების მოცულობა არასაკმარისია ასთვისებელი მასალის სიმრავლისა და კურსის სწავლის შედეგების გათვალისწინებით. რეკომენდირებულია, კურსის შინაარსის მოდიფიცირება მასალის შეკვეცისა და სწავლის შედეგების კორექციის მიმართულებით, ან სწავლის შედეგების მისაღწევად საკონტაქტო საათების გაზრდის გზით;

- თეორიული სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხსენიებულია სწავლის ზოგიერთი მეთოდი, რომელთა გამოყენება რეალურად არ ხდება. მაგ: სასწავლო კურსში „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება 1“ სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებს შორის გვხვდება ევრისტიკული მეთოდი, რომელიც ნაკლებად შესაბამისია კურსის შინაარსის და პრობლემატიკის გააზრებისთვის. სასურველია, სილაბუსებში აისახოს მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და რეალურად რომელთა რეალური გამოყენება ხდება სწავლების დროს;

- ქუთაისის მუსიკალური კოლეჯი ზრუნავს საერთაშორისო გამოცდილების გაცნობაზე და გაზიარებაზე. სასურველია, უფრო მეტად გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. ამ თვალსაზრისით, სასურველია, კოლეჯმა გააქტიუროს მუშაობა, რათა საშუალება მისცეს პედაგოგებს უშუალოდ გაეცნონ სწავლებისა და შეფასების სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის მეთოდებს საზღვარგარეთის სახელოვნებო სასწავლებლებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა პირველ და მეორე რეკომენდაციას. მსოფლიო მუსიკის ისტორიის სილაბუსთან მიმართებით და აღნიშნა, რომ კონსულტაციების საფუძველზე გაზარდეს საკონტაქტო საათების დატვირთვა, მასალის შემცირება კი ლექტორს არ სურდა. ინტერნაციონალიზაციის საკითხი დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ეს საკითხი უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში იყო განხორციელებული.

ზაზა მარუაშვილმა იკითხა, რომ პროგრამა მოიცავდა 5 სასწავლო გეგმას და როგორ გადიოდა ერთნაირ სწავლის შედეგებზე. ამასთან, აღნიშნა, შეფასების ფორმების და მეთოდების აღრევის შესახებ. ასევე დაინტერესდა 15 და 19 კრედიტიანი საგნების შინაარსით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა კონცენტრაციების სახით იყო მოცემული და ხდებოდა დაოსტატება სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით, ერთნაირი შინაარსის შედეგებით.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლებელი სპეციფიურია და ამაში პრობლემას ვერ ხედავდა.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ინტერნაციონალიზაციის თაობაზე - კერძოდ ერევნის კონსერვატორიის გიუმრის ფილიალთან თანამშრომლობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თანამშრომლობა უცხოეთის წამყვან სახელოვნებო დაწესებულებებთან, და არა მხოლოდ ერთ რეგიონულ წარმომადგენლობასთან.

დავით კახნიშვილმა აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მეტი პასუხისმგებლობა მართებდა დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ბევრი შენიშვნა იყო, მისიის, დოკუმენტაციის, მეთოდოლოგიის შესახებ და ასევე ინტერნაციონალიზაციაზე.

ნინო ბერელიძემ აღნიშნა, რომ რეგიონული უნივერსიტეტისათვის დაწესებულებას საკმაო შრომა ჰქონდა გაწეული და პროგრამა გადიოდა სწავლის შედეგზე.

4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალვრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართულენოვანი
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- შინაარსობრივად შესაცვლელია პრაქტიკის სილაბუსი - ამჟამად 10 კრედიტანი მოცულობის პრაქტიკის კომპონენტის საკითხები - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და სხვა, - თეოურიული ხასიათისაა, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა შინარსით უნდა იქნეს განხილული ისინი პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) ბაზაზე და რამდენად უზრუნველყოფს ამ საკითხების დამუშავება საჯარო დაწესებულების პერსონალისათვის აუცილებელი პრაქტიკული კომპეტენციის გამომუშავებას.
- არსებული შინაარსის პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა - 10 კრედიტის მოცულობით, მიზანშეწონილია შემცირდეს 5 კრედიტამდე.
- მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის კორექტირება შემდეგი სახით - კულტუროლოგიის სასწავლო დისციპლინა სავალდებულოსგან გადავიდეს არჩევით კომპონენტში და მის ნაცვლად, სავალდებულოს სტატუსი მიენიჭოს ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა - ადმინისტრაციული მენეჯმენტი, დემოკრატია და მოქალაქეობა, საგადასახადო საქმე და სხვა. აღნიშნული საგნების ათვისება შესაძლებელია 15 კრედიტიანი „თავისუფალი კრედიტების“ კომპონენტის მოცულობის ცვლილებით სპეციალობის არჩევითი კომპონენტის სასარგებლოდ.
- ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსი გადატვირთულია, ვინაიდან შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, ადმინისტრაციული აქტის, ადმინისტრაციული პროცესის და საჯარო სამსახურის საკითხებსაც კი, სტანდარტული, 5 კრედიტიანი მოცულობის მიუხედავად. იმის გათვალისიწნებით, რომ სამოხელეო სამართლის საკითხები ცალკე სასწავლო დისციპლინადაც არის გაშუქებული, სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსის შინაარსის მოდიფიცირება.
- აუცილებელია სილაბუსებში არსებული ბიბლიოგრაფიული და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, კერძოდ, სილაბუსების ნაწილი (შრომის სამართალი, საარჩევნო სამართალი, საგადასახადო სამართალი) მოიცავს მოძველებულ აქტებსა და სახელმძღვანელოებს, სხვა სასწავლო კურსების ნაწილში სავალდებულოდ გამოყენებული ლიტერტურა კი არ შეესატყვისება საგნის შინაარსს (საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია - რომელშიც გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის სახელმძღვანელო, როგორც სავალდებულო სასწავლო

ლიტერატურა). ვინაიდან დაწესებულების ბიბლიოთეკას გააჩნია ამ სასწავლო დისციპლინების ასათვისებლად რეკომენდირებული უახლესი ლიტერატურა, აუცილებელია მისი სილაბუსებში ასახვა. ასევე რიგ შემთხვევებში, ლიტერატურის შინარსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი სტატუსის შეცვლა სავალდებულოდან დამხმარეთი და პირიქით.

- პროგრამის ტექსტთან დაკავშირებით, უნდა გაიმართოს და გასაგებად ჩამოყალიბდეს ზოგიერთი ჩანაწერი - მაგალითად, პროგრამით გათვალისწინებულია - „დიპლომის დანართში აისახება სტუდენტთა კონფერენციების შესახებ ინფორმაცია“
- აუცილებელია პროგრამის ხარისხის უზრუნველოფის პროცესში ყურადღება დაეთმოს პროგრამის შინაარსობრივ ანალიზს - კერძოდ, დაწესებულების მიერ მოყვანილი SWOT ანალიზი არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის სუსტი მხარეებისა და განხორციელების რისკების შესახებ, რაც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.
- აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელიც ვიზიტის პერიოდში განახლების რეჟიმში იმყოფებოდა.
- სასურველია ნათლად განისაზღვროს პროგრამის განხორციელების სტრატეგია, აკადემიური და სამეცნიერო პარტნიორობის, პროგრამის მისაღები კონტინგენტის მოცულობის განსაზღვრის, და პროგრამის მდგრადობის მაჩვენებლების, ასევე პროგრამის მოდიფიცირების სტრატეგიის გათვალისიწნებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, ღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იყო გაფრთხილებული ექსპერტთა ვიზიტის შესახებ, ვიზიტი მათთვის მოულოდნელი იყო.

საბჭოს თავმჯდომერემ განმარტა, რომ როდესაც ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადი შედის, იწყება წარმოება და უნივერსიტეტი მზად უნდა იყოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მისაღებად განაცხადის წარმოდგენიდან ნებისმიერ დროს.

განმარტებაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მან წერილობით შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ვიზიტის გადადების თხოვნით. სწორედ, ამიტომ იყო მოულოდნელი. ვიზიტის გადადების მიზეად დასახელდა, პროგრამის ხელმზგვანელის „ერაზმუს მუნდუსის“ ფარგლებში საზღვარგარეთ ყოფნა. რადგან ვიზიტი მაინც განხორციელდა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ითხოვეს დასკვნას მაინც არ ჰქონოდა იურიდიული სახე, თუმცა არც ეს თხოვნა იქნა გათვალისწინებული და დასკვნაც დაგვიანებით მიეწოდათ.

თავმჯდომარემ მოითხოვა განმარტება, რამდენად მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხის განხილვა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუდის წევრმა, გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ადგილზე დახვდათ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და უთხრა, რომ არ ელოდნენ, მაგრამ უარი აღარ უთხრეს მიღებაზე. აღნიშნული გაურკვევლობის შესახებ ადგილზევე გაარკვიეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კანცელარიასთან და დადასტურდა, რომ

ნამდვილად იყო ცენტრიდან გაგზავნილი დასკვნა. დასკვნის მიღების შესახებ კანცელარიის თანამშრომელს სატელეფონო საუბრით დაუდასტურა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.

დაწესებულება ითხოვს ხელახალი ვიზიტის ჩატარებას.

გიორგი ცხვედიანმა საბჭოს წარმოუდგინა უნივერსიტეტის წერილი და თავმჯდომარემ წაიკითხა ხმამაღლა. სევე აღნიშნა, რომ შეიძლებოდა ვიზიტის განხორციელებამდე მიემართათ ცენტრისთვის.

ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა წერილი რატომ არ გაამზადეს მანამ, სანამ ვიზიტი განხორციელდებოდა.

თავმჯდომარემ ღნიშნა, რომ წერილის გამზადება და უარის თქმა მას შემდეგ, რაც პროგრამა შემოწმდა, ბადებს ეჭვს, რომ უნივერსიტეტს არ მოეწონა ექსპერტების შეფასება და ამიტომ ითხოვა ვიზიტის შედეგებისა და დასკვნების გაბათილება.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ რა სახითაც გამოვიდა პროგრამა განსახილველად საბჭოზე, იმ სახით უნდა განიხილულიყო და გაკეთებულიყო დასკვნა.

გიორგი ცხვედიანმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ყველა შემთხვევაში, ვიზიტის განხორციელებამდე წერილობით ეცნობება უნივერსიტეტს, ცენტრი ვალდებულია გააცნოს უნივერსიტეტს მისი უფლებების შესახებ და ამის მიხედვით იმოქმედიოს მან. ამის შემდეგ ხორციელდება ვიზიტი. ცენტრმა ვიზიტის დაგეგმვის დროს შეიძლება გამოიჩინოს მოქნილობა ექსპერტების მოცლილობიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტი, რომ დასკვნა არ მიუღიათ დროულად, უნდა დაეფიქსირებინა; მოცემული პროგრამა იყო ახალი და ჯერ არ მუშაობდა, თუმცა კრედიტები იყო გაწერილი, რომ ის ნამდვილად გადიოდა შედეგზე. კულტუროლოგიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცუდი არ იქნებოდა, სტუდენტებს გაევლოთ ეს საგანი. ადმინისტრაციულ სამართლთან დაკავშირებით არ თვლის, რომ გადატვირტულია, თუმცა ეთანხმება ექსპერტებს, რომ ზედმეტი დატვირთვის მოცილება ნამდვილასდ შეიძლებოდა. ბიბლიოთეკაში ყველა საჭირო ლიტერატურა ფიქსირდებოდა, შეძენილი იყო აპრილში. რაც შეეხება უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ვებგვერდს, განახლების პროცესში იყო და ამით იყო გამოწვეული, რომ არ იხსნებოდა. საბოლოოდ, ვინაიდან პროგრამა ჯერ არ იყო მოქმედი, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მზად იყვნენ მონიტორინგის პირობებში მოდიფიცირებული ფორმით, ხელმეორედ წარმოედგინათ პროგრამა.

ზაზა მარუაშვილმა ჰკითხა ექსპერტს, რამდენად კვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული პროგრამა.

გიორგი ცხვედიანმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი თამაშრომლობდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მართალია, იყო პრობლემები, მაგრამ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, სერიოზული მუშაობა ჰქონდა გაწეული უნივერსიტეტს.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძრვანელისა და სხვა პროფესორების კვაკლიფიკაციით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა მათი კვალიფიკაცია და აღნიშნა, რომ პროგრამა იყო რეგიონის დაკვეთა, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, დროებით თავი შეეკავებინა პროფესორების გადამზადებისაგან და მანამდე თანამშრომლობდნენ თბილისის, ქუთაისის და სხვა მეზობელი ქალაქების უნივერსიტეტებთან.

პროფესორების კვალიფიკაცია დაადასტურა გიორგი ცხვედიანმაც.

18:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 19:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 2; წინააღმდეგი-3);

5. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	აგროინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგროინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართულენოვანი
კვალიფიკაციის კოდი	0415
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა კონსტანტინე სირბილაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ვინაიდან, ინგისური ენის სასწავლო კურსები მიეკუთვნება ძირითად სასწავლო კურსებს და პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისათვის იგი სავალდებულოა, სასურველია ამ სასწავლო კურსის სწავლება დაიწყოს საუნივერსიტეტო წინასწარი ტესტირების შედეგების საფუძველზე და მოხდეს სტუდენტისათვის ინგლისური ენის იმ საფეხურის სილაბუსის შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას;
- სასწავლო კურსის საინჟინრო გრაფიკას სასურველია გაეზარდოს კრედიტების მოცულობა კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის კომპეტენციის მისაღწევად, ან სასწავლო კურსი ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა" პროგრამას დაემატოს დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსს ,,პრაქტიკა აგროინჟინერიაში" გაეზარდოს მინიჭებული კრედიტები, იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციაზე გასვლა ხდება, ძირითადად, აღნიშნული სასწავლო კურსის საფუძველზე;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საუნივერსიტეტო სკოლა „პოლუსის" ლაბორატორიული ბაზის გამოყენება „აგროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი სასწავლო კურსების სწავლების პროცესში, როგორიცაა: „ზოგადი ქიმია", „ფიზიკა" და „ ელტექნიკა".

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დავით გუბელაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ადგილზე არაფერი არ გამოსწორებულა. უნივერსიტეტს პროგრამასთან არანაირი მატერიალური დაინტერესება არ გააჩნდა და გათვლილი იყო მხოლოდ დარგის განვითარებაზე. რაც შეეხება, ინგლისური ენის შეთავაზებას, პროგრამა საშუალებას აძლევდა ინგლისურის არ მცოდნე სტუდენტებს გაევლოთ ინგლისური ენის A1, A2 დონე. მან ასევე აღნიშნა, რომ საინჟინრო გრაფიკის საგანი 5 კრედიტზე მეტი არც ერთ სხვა უნივერსიტეტსში არ იყო შეთავაძებული. პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ

საქართველოში ყველაზე დიდი ორგანიზაციები, რაც რეალურად იძლეოდა პროგრამის წარმატებით განხორციელების საშუალებას და უზრუნველყოფდა სტუდენტების დასაქმებას.

თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენელს სთხოვა განემარტა, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

დავით გუბელაძემ აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტების რეკომენდაციებს.

უნივერსიტეტის რექტორმა გააკეთა კომენტარი, რომ აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტისთვის იყო ახალი ნაბიჯი. მათ ჰქონდათ მაინორები, რომელსაც სთავაზობდნენ სტუდენტებს და ყველა ეს პროგრამა იყო აკრედიტებული.

საბჭოს თავმჯდომარემ და ზაზა მარუაშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარმატება უსურვეს და მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს.

6. შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0204
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულის აღების შესაძლებლობას, რაც რა თქმა უნდა ხელს არ უშლის პროგრამის დაგეგმილ შედეგებზე გასვლას, თუმცა თავად ბიზნესის ადმინისტრირების სპეციფიკიდან და პროგრამაზე მიღების წინაპირობებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა სტუდენტს აძლევდეს თავისუფალი კრედიტის აღების შესაძლებლობასაც, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური საჭიროებების პროგრამის ფარგლებშივე დაკმაყოფილებას;
- სასურველია ფინანსური ანგარიშგებისა და ანალიზის სასწავლო დისციპლინის სილაბუსის სწავლის შედეგებს ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს დაემატოს დასკვნის უნარიც, რომლის შესაბამისი კომპეტენციები - კომპანიის არსებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზის უნარი და ინდუსტრიის, კონკურენტებისა და მომხმარებლების ანალიზის უნარი ისედაც არის გაწერილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნართან; ასევე, საბანკო საქმის დისციპლინაში ღირებულებების კომპეტენცია კიდევ უფრო გაიშალოს და გაიმართოს აზრობრივად და ფინანსური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სილაბუსს სხვა კომპეტენციებთან ერთად ასევე ქონდეს ცოდნისა და გაცნობიერების კომპეტენციაც გაწერილი;
- აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი დისციპლინების სილაბუსებში უმრავლეს შემთხვევაში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია დარგში არსებული უახლესი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან ზოგიერთ დისციპლინაში (მაგალითად: კორპორაციული ფინანსები; ფინანსური დაგეგმვა და ბიუჯეტირება; მენეჯერული აღრიცხვა და საბანკო საქმე) მითითებულია მხოლოდ ერთი ძირითადი ლიტერატურა. სასურველია ჩამოთვლილ დისციპლინებს მიეთითოს დამხმარე ლიტერატურაც, რაც სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში დამატებით მისცემს საშუალებას გაეცნონ სხვა ავტორების მოსაზრებებსაც და ასევე სასურველია პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომლებსაც აქვს დამხმარე ლიტერატურა (ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება; ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი; მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი; მონაცემთა ანალიზი და მოდელირება; ოპერაციათა

მენეჯმენტი; ორგანიზაციული ქცევა; სტრატეგიული ბიზნეს კომუნიკაცია; პროექტების მართვა; სტრატეგიული მენეჯმენტი; და ფინანსური რისკების მართვა) მიეთითოს ამ ლიტერატურის გამოშვების წლებიც;

- პროგრამის წინარეკვიზიტების მატრიცაში სასწავლო დისციპლინა მენეჯერული აღრიცხვის წინაპირობად მითითებულია ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, თუმცა თავად მენეჯერული აღრიცხვის სილაბუსში წინაპირობად მხოლოდ ფინანსური აღრიცხვაა მითითებული, რაც ვფიქრობთ, რომ ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა და სასურველია მისი ჩასწორება;
- აკადემიური წერის სასწავლო დისციპლინაში ერთერთ საკითხად სილაბუსის ავტორი ზოგად კონტესტში განიხილავს ბიზნესში კვლევის წარმართვის მეთოდოლოგიურ საკითხს, რაც ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება განხილული იქნეს მხოლოდ კვლევის მეთოდოლოგიის დისციპლინაში, რომელიც ასევე ისწავლება პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ყველა სტანდარტს შეესაბამებოდა. სწავლის შედეგები შემუშავებული იყო ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა 120 კრედიტის სავალდებულოდ დარგობრივი დისციპლინებით შეთავაზების აუცილებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა მესამე და მეოთხე რეკომენდაციას და ნაწილობრივ გაიზიარეს მეხუთე რეკომენდაცია, ვინაიდან, ინფორმაციის დამუშავების მეთოდები , რაც კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილია, უკვე იყო პროგრამაში, ხოლო დანარჩენი აუცილებლად დაემატებოდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ 19 -21 სასწავლო კვირა უმეტეს შემთხვევაში არასაკმარისი იყო საგნის შედეგზე გასასვლელად. იგი დაინტერესდა, რამდენად შეიძლებოდა 14 კვირიანი სემესტრის განმავლობაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ კანონთ დაშვებულია ტრიმესტრულად სწავლება.

ზაზა მარუაშვილმა დააზუსტა, 12 კვირაში შესაძლებელი იყო თუ არა სასწავლო მასალის ამოწურვა.

ექსპერტმა დაადასტურა და ასევე აღნიშნა, რომ სწავლების ორგანიზაციული მხარე შედეგზე ორიენტირებული იყო.

ზაზა მარუაშვილი არ დაეთანხმა და ასევე დაინტერესდა რამდენიმე პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციით, თუ როგორ ხელმძღვანელობდენ სასწავლო კურსს, როდესაც არ იყვნენ დოქტორები.

აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ ქმნიდნენ დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამას, ჩართული ჰყავდათ პრაქტიკოსი პერსონალი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენ დარგში ჰყავდათ ხარისხის არამქონე პერსონალი. კითხვა დაისვა ავთანდილ გაგნიძეზე, რომელიც ფიქსირდებოდა აკადემიურ პერსონალად, თუმცა იგი ასევე ფიქსირდებოდა ბევრ სხვა დაწესებულებაში და იყო პროგრამის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

ექსპერტმა განმარტა, რომ 7 ასეთი აკადემიური პერსონალი ჰყავდათ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეეძლო იმ გამოცდილების დასახელება, რომელიც დაადასტურებდა ამ პიროვნების მოღვაწეობასა და გამოცდილებას რომელსაც გააჩნდა პრაქტიკულ მენეჯერულ უნარებთან ერთად.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი საგანი იკითხებოდა მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ.

ხელაძემ აღნიშნა, რომ ეს არ იყო პროგრამის ხარისხის დამაკნინებელი.

ნანა გადრინდასვილმა მხარი დაუჭირა და აღნიშნა, რომ ეს გარემოება კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა.

ზაზა მარუაშვილმა არ მიიჩნია დამაჯერებლად განმარტება და აღნიშნა, რომ კანონის ახალი დათქმით არ ჰქონდა უფლება ლექციების წაკითხვისა მას, ვისაც არ აქვს დოქტორის ხარისხი.

ნინო ბერელიძემ ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ამ პირებს კანონის შესაბამისად, არა მარტო ასისტენტი, არამედ სრული პროფესორის თანამდებობის დაკავებაც შეეძლოთ.

დ. კახნიაშვილი

7. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა (რუსულენოვანი)
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (DDM)
სწავლების ენა	რუსულენოვან
კვალიფიკაციის კოდი	090201
კრედიტების რაოდენობა	300

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა, რომლმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად ჰქონდა საამისოდ აუცილებელი რესურსები და პროგრამამ, მთლიანობაში, დადებითი შთაბეჭდილება დატოვა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- იმის გამო, რომ სასწავლო გეგმაში, რომელიც თან ერთვის პროგრამას, საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა არ ემთხვევა ჩაშლილი (ლექცია, ჯგუფში მუშაობა გათვლილი 15 სასწავლო კვირაზე) საათების ჯამს, სასურველია, ცხრილს დაემატოს გრაფა დასკვნითი გამოცდის საათის მითითებით;
- იმის გამო, რომ პროგრამა რუსულენოვანია, ენის ფლობის კომპეტენციის განსაზღვრის მიზნით, სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობა იყოს მოთხოვნა რუსული ენის ცოდნის დადასტურებასთან დაკავშირებით;
- მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტის შეფასების ერთერთი კრიტერიუმი პრაქტიკულ მეცადინეობებზე მისი აქტიურობის შეფასებაა, რაც პერსონალის განმარტებით, რეალურად პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებას გულისხმობს, პროგრამის მიზანი კი სწორედ ,,პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავებაა", სასურველია, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტის შეფასება ცალკე იქნეს გამოტანილი;
- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ლაბორატორიული გამოკვლევა", „ოტორინოლარინგოლოგია" და „სამედიცინო რადიოლოგია" წინაპირობები;
- ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია, ინგლისური ენის სწავლის შედეგები გაიწეროს ევროპული ენობრივი ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის აღწერის კრიტერიუმების (წერა/კითხვა/მოსმენა/საუბარი) შესაბამისად, რათა სწავლის შედეგებით განისაზღვროს სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის შესატყვისი დონე;
- სასურველი იქნებოდა, საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების შემცირების ხარჯზე გაზრდილიყო საბაზისო და ზოგადი კლინიკური დისციპლინების ხვედრითი წილი, რაც სტუდენტის მიერ მიღებული სპეციალური ცოდნის დიაპაზონს გააფართოებდა და შესაბამისად, გაზრდიდა კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;

- სასწავლო კურსი „საპრეზენტაციო უნარები“ შინაარსობრივად „ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო კურსის“ გაღრმავებაა, ვინაიდან მოიცავს Microsoft Access და Microsoft Power Point-ის საკითხებს. რეკომენდირებულია, აღნიშნული კურსები გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსში, განსახილველი შინაარსის შესაბამისად, და ასევე, გადაიხედოს მისი სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამაში - სავალდებულოდან გარდაიქმნას არჩევითად;
- სასურველია, გადაიხედოს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსის „საბაზისო კვლევის მეთოდები“ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა (35 საკონტაქტო/15 დამოუკიდებელი), რადგან კვლევით კომპონენტზე სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას, სულ ცოტა, საკონტაქტოზე მეტი დრო უნდა დაეთმოს, რომელიც რეალური იქნება ღირებული კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის;
- სასურველია, პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს „სტომატოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის კომპლექსური სისტემის დანერგვის ორგანიზების პრინციპები“ („Принципы организации внедрения комплексной системы профилактики стоматологических заболевании“) შეეცვალოს სახელწოდება;
- პროგრამასა და სილაბუსებში სასურველია ჩასწორდეს რიგი ტერმინოლოგიური შეცდომები;
- რამდენიმე სილაბუსში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს წინაპირობების ნაწილში ცვლილებები დახვდა დაწესებულებას, თუმცა კიდევ დარჩა რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელთა ნაწილშიც მიზანშეწონილი იყო შესაბამისი წინაპირობების ნაწილის შეცვლა, რაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

დავით კახნიაშვილმა სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, მთლიანობაში გადიოდა თუ არა პროგრამა შედეგებზე. ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული.

თავმჯოდმარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კეთილგანწყობისათვის. მისი თქმით, პროგრამის რუსულ ენაზე წარმოდგენა განაპირობა აზერბაიჯანელი პარტნიორების თხოვნამ, აღნიშნულის საფუძველზე უნივერსიტეტმა დაიწყო ბაზარზე კადრების მოთხოვნის მხრივ მდგომარეობის შესწავლა და მართლაც გამოიკვეთა მოთხოვნა.

წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის ადამიანურ რესურსზე და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილობდა 11 პროფესორი, ორი ასიტენტ-პროფესორი, ასევე, 16 მოწვეული სპეციალისტი.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეეძლოთ ამის გათვალისწინება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი მიღების წინაპირობების შესახებ დეტალურად მიუთითებდა, გათვალისწინებული იყო ტესტირების გავლის აუცილებლობა შესაბამის ენაზე. სამომავლოდ აღნიშნულს უშუალოდ პროგრამაშიც გადმოიტანდნენ.

წარმომადგენლის თქმით, ყველა სილაბუსში კლინიკური და საბაზისო დისციპლინები გაწერილი იყო ისე, როგორც ფასდებოდა, ცალკე იყო გამოტანილი კრიტერიუმები და მეთოდები, მისი ვარაუდით ექსპერტის რეკომენდაცია გულისხმობდა იმას, რომ კონკრეტულ კვირაზე მიწერილიყო მეთოდი და კრიტერიუმი.

წინაპირობებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით აპირებდნენ სამომავლოდ პროგრამის გადახედვას, ამ შემთხვევაში გამოიკვეთა აზრთა

სხვადასხვაობა სპეციალისტებს შორის. ექსპერტის მოსაზრებით წარმოდგენილი სასწავლო კურსი არ საჭიროებდა წინაპირობას, კურსის განმახორციელებელს კი მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო წინაპირობის დაწესება. პოზიციების შეჯერება ვერ მოხერდა, ამდენად, ამ საკითხს სამომავლოდ მიუბრუნდებოდნენ.

წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისურის სწავლება მეოთხე სემესტრში მიმდინარეობდა, 5-6 სემესტრში დარგობრივი ინგლისურის სწავლება იყო გათვალისწინებული, სამომავლოდ აუცილებლად მოაკლდებოდა რამდენიმე კრედიტი ინგლისურს და დაეთმობოდა ლათინურ ენას და არა ლათინურის საფძვლებს, ასე გამოთავისუფლდებოდა 3 კრედიტი, რომელსაც შემდეგ დანიშნულებისამებრ გამოიყენებდნენ.

წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აპირებდნენ საპრეზენტაციო უნარების პირველ სემესტრში დატოვებას და მეორე სემესტრში საპრეზენტაციო საგნად გადატანას, კურსი არჩევითის სტატუსით იქნებოდა წარმოდგენილი.

საბაზისო სასწავლო კურსების შემთხვევაში, წარმომადგენლის თქმით, იგეგემებოდა თითო საათის დამატება. სასწავლო კურსის სახელწოდებასთან დაკავშირებით წარმოადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო თავად სახელმძღვანელოს სახელწოდებით, თუმცა, შესაძლებელი იყო სასწავლო კურსის სახელწოდების შეცვლაც.

წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამის მუშაობით, პირველ რიგში, აზერბაიჯანელები იყვნენ დაინტერესებულნი, ამ მხრივ, უკვე ცენტრშიც კი ჰქონდათ დოკუმენტები წარმოდგენილი აღიარების მიზნით.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, პროგრამაზე რამდენი სტუდენტის ჩარიცხვას გეგმავდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 12-15 სტუდენტზე მეტის პროგრამაზე ჩარიცხვა არ იგეგმებოდა. წარმომადგენლის თქმით, ვარაუდობდნენ სტუდენტების მოზიდვას ბოლნისიდან და მარნეულიდან, სწორედ აღნიშნული ტერიტორიების შესწავლამ აჩვენა კადრებზე მოთხოვნა. ადგილობრივები ჩააბარებდნენ ერვნულ გამოცდებს, ხოლო უცხოელები ეროვნულების გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხებოდნენ.

საბჭო დაინტერესდა დაწესებულების საუნივერსიტეტო კლინიკით. წარმომაგდნელის განცხადებით, ჰქონდათ შესაბამისი საუნივერსიტეტო კლინიკა, „დეოდენტი", საერთოდ კი, 15 ორგანიზაციასთან ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული.

დავით კახნიაშვლი დაინტერესდა, რა კურსს ურჩევდა წინაპირობად ექსპერტი ოტოლარინგოლოგიის სასწავლო კურსს. მისი მოსაზრებით, სასწავლო კურსის წინაპირობად მიზანშეწონილი იყო ზოგადი თერაპიის გათვალისწინება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსის წინაპირობად გათვალისწინებული იყო შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში კარგი პროგრამა იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი. რამდენიმე უზუტობის გარდა, რომელიც, თავის მხრივ, გასწორებას ექვემდებარებოდა, პროგრამას ნაკლი არ ჰქონდა.

8. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

9. შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხის განხილვის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ორივე პროოგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა) ექსპერტების მიერ ანალოგიური შინაარსის მოსაზრებები იქნა გამოთქმული, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებსაც ერთიანი მოსაზრება გააჩნდათ, ამდენად, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ორივე პროგრამის შემთხვევაში, საკითხების ერთად განხილვა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თაობაზე საბჭოს წინაშე ისაუბრა ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ადფიქსირებული მოსაზრებები:

- მიზანშეწონილია, ზოგიერთ საგანს არ ქონდეს წინაპირობა, რომელიც არ წარმოადგენს მისთვის აუცილებელს. აღნიშნულის გათვალისწინება უფრო მოქნილს გახდის პროგრამას;

- სასურველია, სტუდენტებმა ისწავლონ არა მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის, არამედ ბიზნეს მათემატიკა /მათემატიკა ბიზნესისთვის, (რომლის მსოფლიო გამოცდილება არსებობს) და ბიზნეს სტატისტიკა და არა სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის, რადგან სპეციალობა არის ბიზნეს ადმინისტრირება და არა ეკონომიკა;

- სასურველია, ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმდეს თემების და მასალების თანმიმდევრობა, რათა არ დაემთხვეს ერთმანეთს;

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს საქმიანობა ინტერნაციონალიზიაციის მიმართულებით, ასევე, დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ დღეს საუბრისას გამოიკვეთა ექსპერტის მოსაზრებები პროგრამის კორექტირებასთან დაკავშირებით. საკმაოდ მომზადებული შეხვდა აღნიშნულს დაწესებულება, ჰქონდათ მოსაზრებები წინაპირობებთან დაკავშრებით, ნაწილობრივ დაეთანხმნენ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის, მისი თქმით, აკრედიტაციის პროცესიდან კარგი გამოცდილების მიღების საშუალება მიეცათ, ყველაფერი მათი პროგრამების განვითარებისკენ იყო მიმართული და ყველა რეკომენდაცია, რომელიც გამოთქმული იყო მათ მიმართ, გაითვალისწინეს. ამჯერად, პროგრამის განმახორციელებლები მუშაობდნენ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსის კიდევ ერთხელ გადახედვაზე.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მოსაწონი იყო პროგრამა, მით უფრო, რომ პროგრამის ყოველ მოდულს საკუთარი სწავლის შედეგები ჰქონდა გაწერილი. ასევე, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულება ახალი იყო ბაზარზე.

საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების სახელწოდებაზე, დაწესებულებას მისი თქმით, კოლეჯის სტატუსი ჰქონდა.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სახელწოდება უფრო გემოვნების საკითხი იყო, მოიწონა პროგრამა მთლიანობაში და აღნიშნა, რომ სულ რამდენიმე თვის წინ გაიარეს ავტორიტაცია და მხოლოდ დადებითი ესმოდა მათზე. მაია ჩიხლაძე დაინტერესდა დაწესებულების სასერთიფიკაციო ცენტრით, რას ემსახურებოდა აღნიშნული, რატომ გახდა საჭირო მისი შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად იგი შეიქმნა არამხოლოდ სტუდენტებისთვის, ავტორიზაცია აგვისტოში გაიარეს და პირველი სატრენინგო გამოცდილებაც მიიღეს იმით, რომ ჩაატარეს ტრენინგი კურიკულუმის ავტორებისთვის, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუდენტთა მიღებასთან ერთად, გამოიკვეთა მათი მხრიდან დიდი ინტერესი, განსაკუთრებით უცხო ენების შესწავლის მხრივ. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტლება, მათთვის ამის საშუალება მიეცათ.

ექსპერტის თქმით, სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ ეძლეოდათ აღნიშნული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა, მაია მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის იდენტური რეკომენდაციები იქნა შემუშავებული. ექსპერტის თქმით, იგი მოხიბლული დარჩა კურიკულუმის დიზაინით. ყოველი კურიკულუმი მიზანმიმართულად გათვლილი იყო სწორედ ტურიზმის სპეციალისტის მომზადებაზე. ეს იშვიათობა იყო და კურსდამთავრებული ამ მიდგომით აუცილებლად მოიპოვებდა თავის ადგილს ბაზარზე. ექსპერტმა დაწესებულებას ურჩია ინტერნაციონალიზაციის მიმართუებით მუშაობის გაძლიერება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი უკვე მუშაობდა და გეგმავდნენ რეკომენდაციების გათვალისწინებას.

დაწესებულების რექტორმა, არჩილ ჭელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ხარისხზე ორიენტირებული პროცესისთვის.

20:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 20:55 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ფინანსებში“ მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 3; წინააღმდეგი-2);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან (რუსულენოვან) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- შპს - ქართულ ევროპული აკადემიის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 21:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
მაია ჩიხლაძე